სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

42311498084915

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

## N170354649

რეგისტრაციის თარიღი

05.04.2017 წ

ნოტარიუსი: ნუნუ კაკოჩაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67ის მიმდებარედ.
ტელეფონი: 2 30 69 98;

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ხუთ აპრილს, მე, ნოტარიუსი **ნუნუ კაკოჩაშვილი,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირის №67-ის მიმდებარედ სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მიმიწვიეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ. №24-ში, სადაც ჩემს წინაშე წარსდგა შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს (რეგისტრირებული: 22.09.2006 წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, 300 არაგველის ქ. №24, საიდენტიფიკაციო კოდი: 202352514 ) დირექტორი **ლევან გიორგაძე,** რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ლევან გიორგაძემ** (დაბ.: 06.09.1985 წელს, მისამართი: **ქალაქი თბილისი, დავით გამრეკელის ქუჩა, N 8, ბინა 3**, პირადი №01008016642) მომმართა. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B17034680,, ამონაწერის მომზადების თარიღი: 21/03/2017 16:13:54 მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

*მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა*

შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს (რეგისტრირებული: 22.09.2006 წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, 300 არაგველის ქ. №24, საიდენტიფიკაციო კოდი: 202352514 ) დირექტორი **ლევან გიორგაძემ** (დაბ.: 06.09.1985 წელს, მისამართი: **ქალაქი თბილისი, დავით გამრეკელის ქუჩა, N 8, ბინა 3**, პირადი №01008016642) რომელიც შემდეგში წოდებულია როგორც „მიმნდობი," **სოფიო ფირცხალავას** (დაბადებული: 19.11.1986 წელს პირადი № 01008028640), რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მინდობილი პირი", საზოგადოების სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: "მინდობილი პირი" უფლებამოსილია საზოგადოების სახელით ხელი მოაწეროს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ყველა სახის ხელშეკრულებას და ამასთან დაკავშირებით შეასრულოს ნებისმიერი საჭირო მოქმედება.

**მინდობილობა გაცემულია ვადით და ძალაშია ორი ათას თვრამეტი (2018) წლის ოცდათერთმეტი (31) იანვრის ჩათვლით.**

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია **სამ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობს".

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ათი (10) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507 (2011 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, ოცი (20) ლარი 34 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე დღგ: ხუთი (5) ლარი და ორმოცი (40) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: ოცდაჩვიდმეტი (37) ლარი და ორმოცი (40) თეთრი.

მიმნდობი ________________

ნოტარიუსი: ________________ /ნუნუ კაკოჩაშვილი/